ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1294291

ნომერი: AR1214562

თარიღი : 24.04.2014

გაცემის თარიღი : 30.05.2014

გაცნობის თარიღი : 30.05.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

სამღებროს ქუჩა 6 მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა ტუსკაძე პ/ნ 53001013096
- თბილისი მ.იპოლიტოვ-ივანოვის II ჩიხი N 12

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი #AR1214562 24.04.2014 განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, სამღებროს ქ. #6–ის მიმდებარედ ღია საზაფხულო კაფეს მოწყობის მიზნით წერილობითი ნებართვის გაცემას გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორია მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საკითხის განხილვა საჭიროებს

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებას. გამომდინარე აქედან, თქვენი საკითხი გადაგზავნილი იქნა სამინისტროში განსახილველად. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს დასკვნის შესაბამისად (იხ. დანართი: წერილი დ/13/12/11 23.05.2014), საკითხი განმეორებით უნდა იქნეს განხილული შემდეგი შენიშვნების გათვალისწინებით: ზოგადად ღია კაფეს მოწყობა დასაშვებია ქალაქთმშენებლობითი (სატრანსპორტო და ქვეითთა მოძრაობის) ნორმების მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიების ჩატარების პირობით. სხვა შემთხვევაში ტროტუარის ნაწილი უნდა იყოს განთავისუფლებული ფეხით მოსიარულეთათვის.

იმ შემთხვევაში, თუ ახალი განაცხადით, ზემოაღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით წარმოადგენთ დოკუმენტაციას, საკითხი კვლავ გადაიგზავნება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში განსახილველად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.